ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფი

ქ. ტყიბული **11 იანვარი, 2019 წ.**

ოქმი N2

2019 წლის 11 იანვარს ქ. ტყიბულში, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა.

შეხვედრას ესწრებოდა 16 ადამიანი.

სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. თემურ ჩუბინიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი;
2. გიორგი ლომთაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
3. დავით კუბლაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის წევრი;
4. თემური ცქიფურიშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
5. კობა რობაქიძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
6. ზაზა ზოსიაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
7. თენგიზ თევზაძე - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, სამუშაო ჯგუფის წევრი;
8. ზაზა გოჩელაშვილი - ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - სამუშაო ჯგუფის მდივანი.

ასევე, სხდომას ესწრებოდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები და წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლები: ხატია ბეროძე, მელიტონ ზოსიაშვილი, თამაზ გელაძე, ზაზა ყვავაძე, მურმანი კუპრაშვილი, უჩა გაბრიაძე, კახა ცნობილაძე, გიორგი ჩივაძე.

სხდომა წარიმართა შემდეგი დღის წესრიგით:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ;
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების თარიღების, საპროექტო განაცხადების მომზადებისა და სხვა პროცედურული საკითხების შესახებ;

დღის წესრიგით განსაზღვრულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, შეხვედრა გახსნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა თემურ ჩუბინიძემ, მან მოკლედ მიმოიხილა საქართველოს მთავრობის ინიციატივა - სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესახებ ინფორმაცია სამუშაო ჯგუფს წარუდგინა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიორგი ლომთაძემ. მან მოკლედ მიმოიხილა ინიციატივით განსაზღვრული მნიშვნელოვანი საკითხები:

1. თანხის ოდენობა და განაწილება;
2. პროექტების შერჩევის პროცედურა:
- დასახლების საერთო კრება;
- კონსულტაცია.
3. სიახლეები და რეკომენდაციები
4. შესრულების ვადები
5. ანგარიშვალდებულება.

დღის წესრიგით განსაზღვრულ მეორე საკითხთან დაკავშირებით საბჭოს ინფორმაცია წარუდგინა ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კობა რობაქიძემ. მან სამუშაო ჯგუფის წევრებსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებსა და წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებლებს გააცნო ინფორმაცია ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 09/01/2019 წლის #4756 ბრძანებით დამტკიცებული წინადადებები საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების მიზნით საერთო კრებებისა და კონსულტაციების ჩატარების თარიღების, საპროექტო განაცხადების მომზადებისა და სხვა პროცედურული საკითხების შესახებ.

სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს პროგრამის ეფექტურად განხორციელების მიზნით კონკრეტული სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი ღონისძიებების გატარების შესახებ.

საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტის შერჩევის მიზნით დასახლებებში, რომლებშიც რეგისტირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს არაუმეტეს 500 ამომრჩეველს, მოწვეულ იქნას დასახლებების საერთო კრებები, ხოლო დასახლებებში, რომლებშიც რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობა შეადგენს 500-ზე მეტ ამომრჩეველს, გაიმართოს ამომრჩევლებთან კონსულტაციები. დასახლების საერთო კრებები და კონსულტაციებიგაიმართოს დანართი N1-ით განსაზღვრულ თარიღებში.

2. მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს და მერის წარმომადგენლებს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაევალოთ მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება და მათი კონსულტირება საპროექტო წინადადების შემუშავების პროცესში.

3. თითოეული დასახლებაში განსახორციელებელი პროექტისთვის ზღვრული საორიენტაციო თანხის ოდენობა განისაზღვროს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის 09/01/2019 წლის #4756 ბრძანების დანართის მიხედვით.

4. მოქალაქეებისგან საპროექტო წინადადებების მიღება განხორციელდეს მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლობებში ყოველდღე, 09-დან 18საათამდე, 2019 წლის 24 იანვრის ჩათვლით.

5. დასახლებების საერთო კრებების სხდომების და ამომრჩევლებთან კონსულტაციების დღის წესრიგი განისაზღვროს ერთი საკითხით: დასახლებაში განსახორციელებელი საქართველოს

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტ(ებ)ის შერჩევა.

6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის საკითხებზე მოსახლეობასთან ურთიერთობაზე და საპროექტო წინადადებების მიღებაზე უფლებამოსილი პირებად განისაზღვრონ ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური და ადმინისტრაციულ ერთეულებში ტყიბულის მუნიციპალიტეტის მიერის წარმომადგენლები.

7. დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს, უზრუნველყოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

გიორგი ლომთაძე
სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი

ზაზა გოჩელაშვილი
სამუშაო ჯგუფის მდივანი